



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 24 2020 წლის 3 თებერვალი ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

თამარ ზარანდია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოციირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

ნუგზარ სხირტლაძე – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი;

თამარი ლაღიძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი – საბჭოს მდივანი;

დავით ბოსტოლანაშვილი – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო ინასარიძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების სპეციალისტი;

მაია მანწკავა – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ-ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

მორისი შალიკაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი – საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

ირაკლი კობრეიძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

თამარ იოსელიანი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

ირმა ჭანტურია – შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

გიორგი გახარია

